№ 16
შაბათი, 23 იანვარი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 16
შაბათი, 23 იანვარი, 1899 წ.

ტფილისი

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
**და განცხადებათა დასაბეჭდად**
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარია
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## „ივერია"

გამოვა 1899 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

**ტფილისი,**
**„ივერიის" რედაქცია,**
ნიკოლოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" კანცელარიას სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და

ბაქოში, სიდდევლის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ-და-პირ.

**ტელეფონი № 227.**

სატელეგრ. ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავითვე მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარად: ხელის-მოწერის დროს 3 მან., პირველ მარტს—2 მან., პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წლიწადში 8 მან. დაუთმობათ, ნახევარის წლით 4 მან.

ნოტარიუსის

**ლევან მღებროვის**

**კანტორა**

გაიხსნება ქალაქ ტფილისის პოლიციის მეოთხე განყოფილებაში გურგენოვის სახლის ზემო სართულში, № 2, ერევნის მოედანზედ, თამამშოვის ქარვასლის პირდაპირ, განოვისა და სოლოლაკის ქუჩების კუთხეში. (30—6.—4)

**ეკისრულობ**

**ტაქსაციას** და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

**რაც შეიძლება ჩქარა გასრულებ საქმეს სესხის გატანისას როგორც სამეურნეო, ისე სატყეო სარგებლობისათვის.**

**ალექსანდრე გრიგორის ძე სნეჟ**

**კოჯი.** ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26, ტელეფონი № 567. (20—3—5).

ქ. ქუთაისი

**ექიმი**

**ნ. გ. ჭიჭინაძე**

იღებს ავადმყოფებს

(ლევაშოვის ქუჩაზედ, პეტრე ხარაზოვის სახლში, № 13).

დილის 9—11 და საღამოს 4—6 საათამდის. ( —6.—2)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ.

სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ვ. მ ჩიქოვანი,** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი**—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

**ა. ზ. კარაშეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** $1^1/_2$—$2^1/_2$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**გ. მ. მახვილაძე.**—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

**ა. ნ. შპაკოვსკი**—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენელიური და კანის სნეულებ.

**ბ. ა. ნავასარდიანი**—$6^1/_2$—7 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეროოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница** *Д-ра Навасардіана.*

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.** (—1—წ)

## მთავრობის განკარგულებანი

დანიშნულ იქმნა კავკასიის ყაზახთა მე-2 დივიზიის 1 ბრიგადის უფროსი გენერალ-მაიორი თავ. ჯამბაკურ-ორბელიანი—ყაზახთა მეორე დივიზიის უფროსად.

გადაყვანილ იქმნა შემახის ზურგის რაზმის პოდპოლკოვნიკი თავ. ჯანდიერი—კავკასიის პირველ დრუჟინაში.

## ახალი ამბავი

*** 21 იანვარს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში მისმა მაღალ ყოვლად-უსამღვდელოესობამ საქართველოს ექსარხოსმა ფლაბიანემ გარდიხადა პანაშვიდი 18 იანვარს ნიცაში გარდაცვალებულის სახელმწიფო საბჭოს წევრის თავ. დიმიტრი ივანეს ძე სვიატოპოლკ-მირსკის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს განსვენებულის ნათესავების გარ,და დაესწრნენ: კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ ლეიტენანტი ა. ა. ფრეზე, კავალერიის გენერალი თავ. ი. ამილახვარი, უმაღლესის კარის ეგერმეისტერი თავ. გ. დ. შერვაშიძე, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობის აღმასრულებელი ვ. ი. საგინაშვილი, ტფილისის გუბერნიის გამგე კ. კ. სტეფანოვიჩი, გენერალ-მაიორი თავ. ორბელიანი და სხვანი. აზრადა აქვთ, როგორც ამბობენ, განსვენებულის თავ. სვიატოპოლკ-მირსკის გვამი ტფილისში მოიტანონ და ქვაშვეთის ეკკლესიის გალავანში დაასაფლაონ.

*** ხვალ, 24 იანვარს, ანჩისხატის ტაძარში მწირველი ბრძანდება ყოვლად სამღვდელო გორის ეპისკოპოსი ლეონიდე. წირვის დროს იგალობებს სათავად-აზნაურო სკოლის მოსწავლეთაგან შემდგარი მგალობელთა გუნდი.

*** კვირას, 24 იანვარს, ტფილისის დედათა პირველ გიმნაზიის ეკკლესიის დღეობის გამო, ამ ეკკლესიაში მწირველი იქმნება სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი გერმოგენი.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიჰმართა კავკასიის გუბერნატორებს და ოლქის უფროსებს და სთხოვა,—დაავალეთ გუბერნიებში არსებულ საქველ-მოქმედო საზოგადოებათ წარმოუდგინონ სამინისტროს სრული ანგარიში თავიანთ მოქმედებისათ. ეს ანგარიში საზოგადოებებმა რუსულ ენაზედ უნდა წარადგინონ.

*** გაზ. „კავკას"-ს სწერენ სიღნაღის მაზრიდგან: სოფ. ტიბაანის მცხოვრებელთ შუამდგომლობა აღძრეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ეს სოფელი განთავისუფლებულ იქმნას საერო განათლების სამინისტროს ქვემო-მაჩხაანის სკოლის შენახვის ხარჯისაგან. მცხოვრებლები იმით ასაბუთებენ თავიანთ თხოვნას, რომ ეს სკოლა ჩვენზედ ძალიან მოშორებულია და, გარდა ამისა, თვით ჩვენ სოფელში დავაარსეთ სამრევლო საეკკლესიო სკოლა და ჩვენი შვილები ყველანი იქ დიარებიანო.

*** როგორც „ტფ. ფ."-ი იუწყება, მთავრობამ ნება დართო იმ შენობას, სადაც სულით ავადმყოფთა განყოფილებაა მოთავსებული, მეორე სართული დაადგან.

*** „ტფ. ფურ."-ს პეტერბურგიდგან სწერენ: შინაგან საქმეთა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქმნას კავკასიაში სამკურნალო ნაწილის გამგეობათ.

*** იმავე გაზეთის სიტყვით, მთავრობამ შეიწყნარა შავის ზღვის პირის გუბერნიის მემამულეთა შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ მოწვეულ იქმნას ამ გუბერნიის მევენახეთა და მეღვინეთა კრება სხვა-და-სხვა საგნების შესახებ მოსალაპარაკებლად. კრება ამ ახლო მომავალში მოხდება.

*** „მშაკის" უკანასკნელ ნომერში დასტამბულია წერილი ახალ-ქა-

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

მარკ ტვენი არც თუ დაუჯერებელს ამბავსა სწერდა.—საოცარი მანქანა ტელელექტროსკოპი და შჩეპანიკი.—ამერიკის ახალი გაზეთი—რეკლამა და მოგონილი ქალაქი.—უცნაური მკურნალობა.—გმირი დედაკაცი.—წყალ-წაღებული ხავსს ეჭიდებოდაო.

ეხლახან ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი იყო მარკ ტვენის მოთხრობა, რომელშიაც აწერილია შჩეპანიკის მიერ გამოგონილი ტელელექტროსკოპი. რაღა თქმა უნდა, მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ ასეთი მანქანა ამ ჟამად არ არის, ხოლო მარკ ტვენს აწერილი აქვს ისეთი მანქანა, რომელიც შესაძლებელია დღეს-ხვალ გაიმართოს კიდეც. შჩეპანიკის გვარიც გამოგონილი არ არის. ამ გვარის კაცი მართლა არსებობს და კიდევაც გამოიგონა ისეთი მანქანა, რომელსაც სახელად ტელელექტროსკოპი დაარქვა. შჩეპანიკი ღარიბი მასწავლებელია გალიციაში და იმის მიერ გამოგონილი მანქანა ისე საოცარია, რომ ძნელი დასაჯერებელია თუმცა შესაძლებელი-კი არის კაცმა შორეულ ადგილიდგან დაინახოს საგანი რამ ან სურათი, რომელიც რამდენისამე ვერსით არის დაშორებული. ვსთქვათ, საჭიროა მხატვარს გადაახატვინოთ სურათი რამ. ამისათვის სურათი უნდა გაუგზავნოთ მხატვარს. შჩეპანიკმა-კი სულ სხვა საშუალება გამოიგონა, საოცარი და თითქმის დაუჯერებელი. გაანათებს სურათს და წინ დაუდგავს სარკეს, სურათი გამოჩნდება სარკეში და სარკიდგან ელექტრონის ძალას სურათი გადააქვს იმ ადგილას, სადაც გნებავთ. საჭიროა მხოლოდ, რომ ამ ადგილასაც სარკე იყოს, იმ გვარად მომართული, რომ ელექტრონის ძალით გადმოტანილი სურათი გამოჩნდეს. შჩეპანიკმა კიდეც გამოსცადა ეს მანქანა და აღმოჩნდა, რომ მართლა შესაძლებელი ყოფილა ერთის ადგილიდგან მეორეზე სურათის გადატანა ელექტრონის ძალით. დიაღ, შესაძლებელია, მაგრამ საქმე ის არის მხოლოდ, როგორ იქცევა აქ შჩეპანიკი. ჯერ ისევ 1873 წელს არის გამოგონილი საშუალება, რომლითაც შეიძლება სინათლე ელექტრონის ძალად გადააქციოს კაცმა. მეცნიერი ბელდი ამ საშუალებას ეგრეთ წოდებულ ფოტოფონის მანქანისათვის ჰხმარობდა.

იმის დასამტკიცებლად, რომ მართლა შესაძლებელია ელექტრონის ძალის შემწეობით სურათის გადცლება, შჩეპანიკს გადაუხატავს ელექტრონისვე ძალით დიდი ხალიჩა და იმპერატორს ფრანც იოსებს უნდა მიართვას. შჩეპანიკი ჯერ ახალგაზრდა კაცია, 25 წლისა. დაბადებულია პოლონიაში, სწავლა კრაკოვის უნივერსიტეტში დაამთავრა, მაგრამ სიღარიბის გამო თავის სოფელში დაბრუნდა და სოფლის მასწავლებლად არის. მეცნიერებს იმედი აქვთ, რომ შჩეპანიკის მიერ გამოგონილი ტელელექტროსკოპი თან და თან გაუმჯობესდება და თუ ეხლა ტელეფონის შემწეობით შესაძლებელია კაცი ქუთაისიდგან ტფილისში მყოფ კაცს დალაპარაკოს, დღეს თუ ხვალ ისიც იქნება შესაძლებელი, რომ ტფილისელი კაცი ტელელექტროსკოპის შემწეობით მთელს ქუთაისს ჰხედავდეს.

(ამბავი ამ საოცარ მანქანის შესახებ ამოვიკითხეთ რუსულ ჟურნალში „Вѣстникъ Иностранной Литературы" 1898 წ. № VIII).

* *

ამერიკაში დიდი ლაპარაკი გამოიწვია ერთმა ახლად დაარსებულმა გაზეთმა სახელად „Mew Rome Apvetiser", რომელიც ეგზავნებოდა ამერიკის ყველა გაზეთების რედაქციებსა და 60,900 კაცს. ვინც-კი კითხულობდა ამ გაზეთს, ყველას უკვირდა, როგორ მალე დაარსდა და გაიზარდა ერთი ქალაქი, სახელად New Rome. ამ ქალაქში იყო უჭინ ერთი რედაქტორი, ფოსტის მოხელე, ორი მეწისქვილე, ერთი მასწავლებელი და ოციოდე ხელოსანი. გაზეთის პირველ ნომერში სურათიც დაიბეჭდა ამ პაწია ქალაქისა. მეათე ნომერში-კი მოხსენებული იყო, რომ ახლად დაარსებულ ქალაქში უკვე რამდენიმე ათასი მცხოვრებია, აშენებულია ბევრი მშვენიერი სახლი დ გაზეთს ამ ქალაქში 1500 კაცი იწერსო. მერე გაზეთმა გამოაცხადა, რომ ამ ქალაქს მრავალი ხალხი მოაწყდა და სულ რამდენისამე თვის შემდეგ 40,000 მცხოვრები ითვლებოდა. ყოველივე ეს ამბავი დაბეჭდილი იყო გაზეთში, რომელიც თან და თან გადიდდა კიდეც. New Iork Herald"-ის რედაქტორს ეჭვი შეეპარა ამ ამბების სიმართლეში და ამ ახლად დაარსებულ ქალაქში გაჰგზავნა თავისი

ლაქიდამ, სადაც მოხსენებულია, რომ ახალქალაქის მაზრის სოფლებთ შორის ეშტიაშიაც სომეხ კათოლიკენი სცხოვრობენო. მეორე წერილში ქართველ კათოლიკეთა გვარები აზნაურიშვილი და ასლანიშვილი გადაკეთებულია: აზნაურიანცი, ასლანიანცი.

*** ამავე გაზეთის სიტყვით, ვანის ახლო მახლო სომეხთა შორის დიდი გაჭირვებაა: სიმშილი, ავადმყოფობა ძლხვა უბედურება არისო. პური აქ ძვირია. ღარიბი ხალხი დიდად იჩაგრებაო.

*** ს. ტობანიერი, (ქუთაისის მაზრა). საზოგადოების მიერ არჩეულ კაცმა, დიმიტრი კალაძემ აქაურ სოფლის სასამართლოს სთხოვა, რომ მედუქნეებს ძალა დაატანეთ და თავიანთი დუქნები ორმოცდაათი საჟენის სიშორეზედ გადაატანინეთ სასწავლებლიდგან, რათა ამ უკანასკნელს შიში არ ჰქონდეს, თუ ვინიცობაა დუქნებს ცეცხლი გაუჩნდაო. მოსამართლეებმა ეს თხოვნა არ შეიწყნარეს, და ეხლა კალაძე იძულებულია ქუთაისის გუბერნატორს მიჰმართოს თხოვნით.

*** ს. ჭყუში, (ქუთაისის მაზრა). 16 იანვარს, ღამის 11 საათზედ, აქ დაიწვა გოფოძის დუქანი ყოველის საქონლით. პატრონი წინა დღით ხონში წასულიყო და დუქანში ბიჭები დაეტოვებინა. როდესაც ცეცხლი გაჩნდა, ბიჭებს არაფერი არ გაუგიათ, ვიდრე მეზობლებმა არ გასტეხეს დუქნის კარები და არ გააღვიძეს მძინარე ბიჭები. დუქანი სახლის წინ ჰქონდა გამართული გოფოძეს და კიდევ კარგი, რომ ქარიანი ღამე არ იყო, თორემ არც სახლი გადარჩებოდა. მეორე დღეს მოვიდა პატრონი და ნახა გადაბუგული თავისი ოფლით შეძენილი ქონება. გოფოძე პატიოსან და რიგიან ვაჭრად ითვლება ჩვენს საზოგადოებაში, ზარალი 1,500 მანეთამდე ადის. ცეცხლის გაჩენის ეჭვი მიიტანეს აქაურ მცხოვრებლებზედ. გამოძიება სწარმოებს.

*** ს. ინაშაური, (ქუთაისის მაზრა). ამ სოფელში გამოჩნდა ერთგვარი თეთრი ქვა, რომელიც ცეცხლში რომ გახურდება, წყლის დასხმის შემდეგ, კირივით დაიშლება ხოლმე და ფხვნილად იქცევა. ამბობენ, რომ ამ ქვისაგან თეფშების და სხვა ჭურჭლის გაკეთება შეიძლებაო. ის ადგილი, სადაც ესეთი ქვა არის, ვიღაც ბერძენს აუღია კიდეც იჯარით, ფუთში ერთ კაპიკ ნახევარს აძლევს პატრონს; მრავალი მუშა ადგია ეხლა ამ ქვას.

*** ოთხშაბათს, 20 იანვარს, კრება ჰქონდა საბჭოს იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ციციანოვის აღმართის შეკეთება და გამაგრება. კომისიამ დაადგინა გაამაგროს მთა ჟანდარმის ქუჩის მხრიდგან, ამისთვის აზრადა აქვთ კედელი გაიყვანონ.

*** საბჭოს ხმოსანმა ა. ს. ბაბოვმა გადასცა გამგეობას განცხადება, რომელშიაც ამბობს, რომ ქალაქის გამგეობას აქამდე არ წარუდგენია საბჭოსათვის საკარაულო აღრიცხვა ქალაქის შემოსავალ-გასავლისა და არც ანგარიში ტფილისის ცხენის რკინის გზის შესყიდვის საქმისა; ამიტომ სთხოვს გამგეობას წარუდგინოს საბჭოს ზემოხსენებული ანგარიში.

*** დიდუბეში მცხოვრებთ მიჰმართეს კავკასიის უმაღლესს მთავრობას და სთხოვეს, რომ მუშტაიდის კარები არასოდეს არ დაიკეტოს ხოლმე არც დღე და არც ღამეო.

*** საბჭოს იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც მინდობილი აქვს იზრუნოს იმისთვის, თუ ქალაქმა როგორ ჰყოს სახსოვარ 1900 წელს ტფილისში რუსეთის მმართველობის შემოღებიდგან ასის წლის შესრულება, არჩეულ იქმნა ხმოსანი თავ. გ. მ. თუმანოვი; ხოლო იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელსაც სახალხო თეატრის და აუდიტორიის აგება აქვს მინდობილი, ხმოსანი ნ. ა. ხუდადოვი.

*** ახალქალაქიდგან სწერენ „მშაკს“, რომ სოფ. გუნდურსა, ეშტიკსა, სულდასა, დატეშსა და სხვაგან სახადი გაჩნდაო. ამ სენს რამდენიმე კაცი უმსხვერპლია.

*** „ახ. მიმ.“-ს სწერენ გორიდგან: 12 იანვარს ღამე სოფ. ღდულეთის მცხოვრებელი ვლ. დუდაშვილი სხვებთან ერთად დაეცა სოფ. გრომის მცხოვრებელის კარ. უთარაშვილის სახლს და მოიტაცა იმისი ქალი. ამას გარდა წაუღიათ სახლიდგან 20 მანეთიც. მოტაცებული ქალი სოფ. ბოგეში იპოვნეს და დედას ჩააბარეს.

## წერილი კავკავიდგან.

14 იანვარი ღირს-შესანიშნავი დღეა ყველა ქართველისათვის, მაგრამ ეს დღე ყველაზე უფრო შესანიშნავი იყო წელს კავკავის ქართველებისათვის, რომლებმაც პირველად იდღესასწაულეს თავისს საკუთარს ტაძარში ხსენება წმიდისა მოციქულთა სწორისა, ქართველთ განმანათლებელის ნინოსი, რომლის სახელობაზედაც არის აშენებული კავკავის ქართველების ეკკლესია. მწირველი ბრძანდებოდა ყოვლად უსამღვდელოესი კავკავის ეპისკოპოსი ვლადიმირი, რომელმაც ზოგიერთი ასამაღლებლები ქართულად წარმოსთქვა. წირვის შემდეგ გარდახდილი იქმნა პარაკლისი ყ-დ სამღვდელოს მიერ. პარაკლისის დაწყების წინ მღვდელმთავარმა წარმოსთქვა დროს შესაფერისი მოძღვრება; აღნიშნა აგრეთვე მნიშვნელობა ტაძრისა და ეკკლესიისა. წირვას დაესწრო აუარებელი ხალხი, იმისდა მიუხედავად, რომ ეს დღე—14 იანვარი ბაზრობის დღე იყო და ბევრი ხალხი ვაჭრობის საქმეში იყო გართული. საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ კავკავის ქართულს ეკკლესიაში მლოცველთა რიცხვი ყოველთვის ბევრია, ყველა მოწიწებით ისმენს ღვთის მსახურებას თავისს დედა-ენაზედ, რომლის საშუალებით ზნეობრივი მდგომარეობა კავკავის ქართველებისა თანდათან უმჯობესდება, რაც მიეწერება ყოვლად-სამღვდელოს ვლადიმირის მამობრივსა და მწყემსთ-მთავრულს მოღვაწეობას კავკავის ქართველებისათვის.

წირვისა და პარაკლისის შემდეგ ყ-დ სამღვდელო ვლადიმირი თანამწირველ სამღვდელოებით მიწვეული იქმნა სკოლის დარბაზში ჩაისა და მცირე საუზმეზედ, რომლის დროს დამსწრე ქართველებმა დიდის ქებით მოიხსენიეს ყოვლად სამღვდელოს ვლადიმირის ღვაწლი და შრომა, რომელიც მიუძღვის მისს მეუფებას კავკავის ქართველთა სულიერ საჭიროების დაკმაყოფილების საქმეში. ყველაზე უფრო გრძნობიერი იყო სიტყვა სტ. ი. პოპოვისა, რომელმაც განმარტა საზოგადო მნიშვნელობა ეკკლესიისა და ღვაწლი ყოვლად-სამღვდელო ვლადიმირისა, როგორც მწყემსმთავარისა. ყოვლად-სამღვდელომ მადლობა გარდაუხადა ყველას კეთილის აზრებისათვის.

საღამოს სკოლის დარბაზში მოწაფეებისათვის გამართული იქმნა შობის ხე და ბუნდოვანი სურათები. შობის ხის გამართვასა და მოწყობაში მონაწილეობას იღებდენ მასწავლებლები სკოლისა ალ. ივ. ხახიშვილი და მ. ი. გვარამაძე, ა. გ. კოლიევისა და დ. ი. ბაქრაძე, რომელთაც ჰშველოდა მ. კ. მამაცაშვილი. საღამოს საჩუქრად დაურიგეს ღარიბს მოსწავლეებს ზოგს ფეხსაცმელები და ზოგს ტანისამოსი და ხილეულობა.

ტაძრის დღეობას ადგილობრივმა მღვდელმა მამა გიორგი ნათაძემ მიიღო ტფილისიდგან შემდეგი მილოცვის დეპეშა:

Молитвенно присутствуя среди Васъ на первомъ храмовомъ праздникѣ, раздѣляю общее торжество. Да возраститъ Всевышній юный Вашъ Вертоградъ духовный, насажденный трудами мудраго Вашего Архипастыря.

სამწუხაროდ ეს საყურადღებო დეპეშა ისეთს დროს იქმნა მიღებული, როცა ყოვლად-სამღვდელო ვლადიმირი და სხვა სტუმრებიც უკვე დაშლილნი იყვნენ.

მოკეთე

# რუსეთი

გაზ. „Зак. Обоз.“ იუწყება, რომ ბუხარის ემირმა შესწირა 4,000 მანეთი პეტერბურგის დედათა უმაღლეს სამკურნალო ინსტიტუტის სასარგებლოდაო.

— რუსეთის სათეატრო საზოგადოებამ, „Кур.“ სიტყვით, შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ ნება დართონ რუსეთის თეატრებში ისეთი პიესები წარმოადგინონ ხოლმე, სადაც მოქმედ პირებად გამოყვანილია ისტორიული კაცები დაწყებული რუსეთის იმპერატორის პეტრე დიდის შემდეგ.

— იგივე გაზეთი იუწყება, რომ საექსპერიმენტალო მედიცინის ინსტიტუტის კრებამ მოისმინა 17 იანვარს პროფესორის ნენცკის მოხსენება საქონლის ჭირის აცრის შესახებ. გრაფმა ორლოვმა-დავიდოვმა შესწირა 12,000 მანეთი პროფესორის ნენცკის მიერ დაწყებულის საქმის დასამთავრებლად.

— ეკატერინბურგში, ადგილობრივის გაზეთების სიტყვით, ამ ჟამად იმყოფება ინგლისელი მოგზაური ჯონ ლემმი. ლემმი 20 წელიწადია თურმე, რაც მოგზაურობს. აზრადა აქვს ლემმს შეისწავლოს სხვა-და-სხვა სახელმწიფოში როგორი ღამის-თავშესაფარები არსებობს და როგორ არის ამ თავშესაფარების საქმე დაყენებული.

# უცხოეთი

**შვეცია.** მეფე ოსკარის ავადმყოფობის გამო ტახტის მემკვიდრე პრინცმა გუსტავმა ბრძანება მიიღო მამისაგან, რეგენტის თანამდებობა იკისროს, ე. ი. ქვეყნის მართვა-გამგეობა ითავოს, სანამ ახალი განკარგულება არ გამოვა, და აგრეთვე იმ საქმეებს გაეცნას, რომელნიც შეერთებულ სამეფოს (შვეციასა და ნორვეგიას) შეეხება.

მეფე ოსკარი 70 წლის კაცია ეხლა. ამას წინად დეპეშამ გვაცნობა, რომ მეფეს ინფლუენცია შეხვდაო; როგორც სჩანს, მას შემდეგ ის არ მორჩენილა. იგი ერთობ სუსტად ყოფილა და ექიმებს ურჩევიათ მისთვის მოსვენებით ცხოვრება. ოსკარს იმედი აქვს, გაზაფხულზედ შუა ევროპაში წავიდეს სამოგზაუროდ.—ტახტის მემკვიდრე გუსტავი 40 წლისაა ყოფილა. როგორც ისმის, ის სულ სხვა შეხედულობისაა ნორვეგიის საქმეებზედ, ვიდრე მისი მამა. როგორც კაცსა და როგორც ქვეყნის მმართველს, გუსტავს მრავალი მკვირცხლი ღირსება ჰქონია. იმას აქებენ ამასთანავე, როგორც გამოჩენილს მონადირეს. გუსტავს ცოლად ჰყავს ბადენის პრინცესა ვიქტორია. რამდენიმე შვილის პატრონია იგი ეხლა, რომელთა შორის უფროსი 17 წლისაა.

—

**ფილიპინეზი.** ამერიკელების თითოეულ ფეხის ნაბიჯს ეჭვის თვალით უცქერიან ფილიპინელები. იქაური გაზეთი „Independancio“ ამბობს, რომ კომისია იმ განზრახვით დანიშნა ამერიკის მთავრობამ კუნძულების საქმეების შესასწავლად, რომ ჩვენ თვალები აგვიხვიოსო. გაზეთის სიტყვით, კომისიის წევრები უკვლანი იმის მომხრენი არიან, რომ შეერთებულმა შტატებმა ახალშენები შეიძინოს. ამერიკას უნდა დრო იხელთოს, რათა სამხრად მოემზადოსო, ამბობს იგი; როცა დიდძალ ჯარებს მოაგროვებს ფილიპინებზედ, მაშინვე ომს დაიწყებს, რათა თავისი სურვილი გაიყვანოსო.

მაგრამ ამასთანავე აგვინალდოს ზე-

---

თანამშრომელი, რომ ეს საოცარი ქალაქი დაეთვალიერებინა, მაგრამ ამ დავალების ასრულება არც თუ ისე ადვილი გამოდგა. რკინის გზის სადგურების სიაში სრულებით არ აღმოჩნდა სახელი New Rome (თუმცა ამ ქალაქში სამი სადგური უნდა ყოფილიყო რკინის გზისა). მხოლოდ ფოსტის გზების სიაში ეწერა, რომ ამ სახელის ადგილი არის ტეხასში. გაზეთის თანამშრომელი წავიდა ცხენით 40,000 მცხოვრები ან ქალაქის საძებნელად. სამის დღის შემდეგ მიაგნო ერთად ერთს სახლს, რომელშიაც მოთავსებული იყო ფოსტა New Rome-ისა და რედაქცია. რედაქტორი და ფოსტის მოხელე ერთი და იგივე კაცი გახლდათ. ქალაქის ხსენებაც-კი არსად იყო. მთელი ქალაქი, 40,000 მცხოვრები, ქარხნები, სკოლები, მშვენიერი სახლები, რკინის გზის სადგურები, ყოველივე ეს გამოგონილი იყო რედაქტორის მიერ, რომელსაც ჯამაგირს აძლევდა ადგილობრივ მემამულეთა საზოგადოება. თურმე ნუ იტყვით რედაქტორმა მთელი ქალაქი მხოლოდ ქაღალდზედ გააშენა. ადგილობრივ მემამულეთ უნდოდათ ამ საშუალებით ადგილები გაეყიდნათ და ასე ამბობდნენ, ვინც ამ ადგილებს იყიდის, მერე თითონ იმათ გაიშენონ ქალაქიო...

* * *

ავსტრიაში, ადრიატიკის ზღვის პირას გაუმართავთ უცნაური საავადმყოფო, რომელიც წარმოადგენს დიდს ბაღს, გალავნით შემოღობილს. ბაღი ორად არის გაყოფილი (დედაკაცთა და მამაკაცთათვის). ავადმყოფი დილით 5 საათზე უნდა ადგეს და საღამოთი 9 საათზე დაიძინოს. მთელის დღის განმავლობაში შიშველი უნდა იყოს. ერთი თვე ასე უნდა გაატაროს. მკურნალები ამტკიცებენ, რომ სინათლე და ჰაერი ისე მშვენივრად მოქმედებს ტანის კანზე; რომ ყველა ავადმყოფობას არჩენს. თან დასძენენ: აქ საკვირველი არაფერია, რადგანაც ჯერ ისევ უწინდელნი რომაელნი ამტკიცებდნენ, რომ natura est maxima medicatrix (ბუნება საუკეთესო მკურნალიაო).

* * *

ბარსელონაში ეხლახან მისულა ამერიკიდგან ერთი დედაკაცი მარია-ლუიზა-ინიგო, 39 წლისა. იმ სოფელს, სადაც ეს დედაკაცი სცხოვრობდა, კუბას კუნძულზედ მეამბოხენი დაეცნენ, მოუკლეს თვალ-წინ ქმარი და ვაჟიშვილი. თვით დედაკაცს უბძანეს დაეძახნა „Viva Cuba libre“ (გაუმარჯოს კუბას თავისუფლებას), მაგრამ ამაყმა ესპანიელმა ქალმა უპასუხა „Viva Espana“ (გაუმარჯოს ესპანიას.) მეამბოხეთ ამაყ დედაკაცს მოსთხარეს თვალები, მოსჭრეს ყურები და ორი თითი და მერე 15 თოფით დახვრიტეს. დედაკაცი რაღაც სასწაულით გადარჩა სიკვდილს, თუმცა უგრძნობლად ეგდო ბრძოლის ველზე. ესპანიელთ იპოვნეს გულ-წასული დედაკაცი და საავადმყოფოში გაგზავნეს. აქ თერთმეტ თვეს იწვა საბრალო და მერე განიკურნა ჭრილობებისაგან. ამ ჟამად მარია ინიგო ბარსელონაში სცხოვრობს და ესპანიის მთავრობამ პენსია დაუნიშნა.

* * *

საფრანგეთი დამნაშავეთ სამ კუნძულზე ჰგზავნის ხოლმე. ერთს სახელად ეწოდება როიალის კუნძული, მეორეს წმ. იოსებისა და მესამეს ეშმაკის კუნძული, სადაც დრეიფუსი სცხოვრობს. ამ კუნძულებიდგან დამნაშავეთა გაქცევა თითქმის ყოვლად შეუძლებელია. მაგრამ ერთმა დამნაშავემ მაინც განიზრახა გაქცევა და რადგანაც ხელთ არც გემი ჰქონდა და არც ნავი, გადასწყვიტა კუბოში ჩავწვები და ისე გავშორდები ამ კუნძულსაო. ამ დამნაშავის სახელი ლუპი გახლავთ. ლუპის ხშირად უნახავს, რომ განსვენებულის დამნაშავის გვამს ფეხებზე მიაბამენ ტყვიას და ჩააწვენენ კუბოში; კუბო ისეა გაკეთებული, რომ ერთი ფიცარი შეიძლება გაალონ კარებისავით, მიცვალებულის გვამი კუბოთი მიაქვთ ზღვაში კუნძულიდგან კარგა მოშორებით; აქ კუბოს გადააბრუნებენ, ერთი მხარე გაიღება, მიცვალებულის გვამი ზღვაში ჩავარდება და წყალი იმ წამსვე ჩასძირავს. ლუპიმ ვადასყვიტა გაქცევა, ამოარჩია ბნელი ღამე, წავიდა იმ ფარდულში, სადაც კუბოები ინახებოდა. წამოიღო კუბო ზღვის ნაპირთან, ჩაუშვა ზღვაში და თითონაც შიგ ჩაწვა. ზღვამ კუბო წაიღო და ლუპის იმედი ჰქონდა ან ინგლისის გვინეაში გამორიყავს ან ვენეცუელაშიო. ლუპის საუბედუროთ კუბა დაინახა საფრანგეთის ერთის გემის უფროსმა. უფროსს ასე ეგონა, უბედურება რამ მომხდარაო, კუბო დაიჭირეს და შიგ კაცი-კი ჰნახეს. რამდენსამე საათის შემდეგ გულადი პატიმარი ისევ როიალის კუნძულზე მიიყვანეს.

ნ.

გავლენაც ყოველ დღე მატულობს ფილიპინელებზედ. ვისაც იარაღის ხმარება შეუძლიან, ყველანი გაწვეულნი არიან ჯარში. სამხედრო და სამოქალაქო მოხელეებს ერთმანეთ შორის ცოტა რამ უსიამოვნება მოუვიდათ, მაგრამ ამერიკელების დამოუკიდებლობის შესახებ კი ყველანი ერთის აზრისანი არიან. როგორც ისმის, ფილიპინების მხედრობა 300 ათას კაცისაგან შესდგება და მალოლოსში 50 ზარბაზანი ჰქონიათ. ფილიპინელების თავი კაცები ჰფიქრობენ, რომ ომი თუ ასტყდა, ამერიკელები ვერაფერს ვერ გააწყობენ მანილას გალავანს გარეთო.

—

**იაპონია.** ლორდი ბერესფორდი, რომელიც ინგლისის მთავრობის სავაჭრო მინდობილობით ჩინეთში მოგზაურობდა, ამ ჟამად იაპონიაში იმყოფება. იმან ამას წინად პოლიტიკური სიტყვა წარმოსთქვა იაპონიაში და ამტკიცებდა ინგლისისა, გერმანიისა, შეერთებულ შტატებისა და იაპონიის კავშირის საჭიროებას. ბერესფორდს ეხლა მეორედ წარმოუთქვამს ტოკიოში სიტყვა იაპონიის აღმოსავლეთ ასოციაციის კრებაზედ და ამტკიცებდა თურმე, რომ ხსენებულმა ოთხმა სახელმწიფომ უთუოდ უნდა შეჰკრან ერთმანეთ შორის კავშირი, თუ სურთ, თავიანთი აღებ-მიცემობა ხელ-უხლებლად დაიცვან ჩინეთში. 11 იანვარს ლორდი მიკადოსთან ყოფილა და იმავე დღეს იოკაჰამაში წასულა.

## თეატრის მატიანე

„სალათას ძილი ანუ ტრილბი“ დრამა 4 მოქმედებად დიუმურიესი, თარგმ. კ. მესხის მიერ.

„არც აქეთ, არც იქით“. ვოდევილი ერთ მოქმედებათ.

ხუთშაბათს, 21 იანვარს, ქართულმა დრამატიულმა დასმა, დიდის ხნის შესვენების შემდეგ (უკანასკნელი წარმოდგენა 7 იანვარს იყო) წარმოადგინა ზემოდ ამოწერილი ორი პიესა. „ტრილბი“ ქართულს ენაზედ ამ დღეს პირველად წარმოადგინეს, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გადავცეთ მკითხველებს მოკლედ იმის შინაარსი.

ხალგაზდა მხატვარს, კარგის გვარის შვილს, ინგლისელს ბილი ბეგოტს (კ. შათირიშვილი) უყვარს ლამაზი, მხიარული და ახალგაზდა ტრილბი ოფერალ (ეფ. მესხი), თავისუფალი ქალი, რომელიც მხოლოდ იმით ირჩენს თავს და ინახავს პატარა ძმას, რომ მხატვრები, იმის სილამაზის გამო, იმისაგან სხვა-და-სხვა სურათებს იღებენ და ამისათვის სასყიდელს აძლევენ. ტრილბიკე გატაცებით, თავ-დავიწყებამდის უყვარს გამოჩენილს მემუსიკეს სვენგალს (კ. მესხი). სხვათა შორის იმიტომაც ევლება თავს, რომ ტრილბის შესანიშნავი ხმა აქვს და სვენგალს უნდა იგი მომღერალ ქალად აღზარდოს. ქალს თავისის მხრივ უყვარს მხატვარი ბილი ბეგოტი და ამიტომ ორ მოტრფიალეთაგან იმას ირჩევს და ცოლობის თანხმობას უცხადებს. მაგრამ აქ ახალგაზდათა სურვილს წინ ეღობება დედა ბილისა, ლედი ბეგოტ (ე. ჩერქეზიშვილი), რომელსაც არაფრად ეჭაშნიკება, რომ გამოჩენილის დედმამის შვილმა ბილი ბეგოტმა შეირთოს ვიღაც ქალი. დედაზედ უფრო მეტად წინააღმდეგია ამ ქორწინებისა მემუსიკე სვენგალი. იგი სიყვარულით იმდენად დაბრმავებულია, რომ ყოველ ღონეს, ხერხსა და ეშმაკობას ჰხმარობს, როგორმე განაშოროს ახალგაზდები ერთმანეთს, რათა შემდეგ თვით შეირთოს ტრილბი. ჯერ პირველსავე მოქმედებაში აშინებს ქალს,—უხატავს მომავალ სურათს ბეგოტთან ცხოვრებისას და ეუბნება—ის მალე გაგანებებს თავს, ისე გაგიმწარებს ცხოვრებას, რომ შენისავე ხელით მოიკლავ თავსაო. როდესაც ამით ვერაფერს ახერხებს, ეშმაკობასა ჰხმარობს და სწერს ბეგოტის დედას, რომ შენი შვილი ვიღაც მაწანწალა, ქუჩის ქალს ირთავს ცოლადაო. ასეთის ამბით შეწუხებული დედა მოდის შვილთან, მაგრამ ვიდრე იმასთან ლაპარაკი მოუხდება, ტრილბის შეჰხვდება. ტრილბი, ხედავს-რა, რომ დედა წინააღმდეგია მათის ქორწინებისა, იქავე ტირილით უცხადებს, ჩემის ნებით ვანებებ თავს შენ შვილს და სამუდამოდ ვშორდებიო. რამდენადაც ეს გარდაწყვეტილება უკლავს გულს საწყალს ქალს, იმდენად იგი ახარებს სვენგალს. ქალს გაზრახული აქვს თავის მოკვლა, მაგრამ სვენგალი ნებას არ აძლევს და სრულიად იმორჩილებს იმას. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სვენგალი არა ჩვეულებრივი კაცია, სვენგალს შეუძლიან შთაგონებით ისე დაიმორჩილოს ადამიანი, რომ რაც თვით ჰსურს, ის გააკეთებინოს და ამოქმედებინოს. და აი ამ თავისს ძალას სვენგალი ეხლა იჩენს და „ჰიპნოტიზმის“ შემწეობით სრულიად იმორჩილებს ქალს. ამ დღიდგან ტრილბი ყურ-მოჭრილი მონა ჰხდება სვენგალისა, მას აღარც თავისი ნება, აღარც თავისი სურვილი აღარა აქვს, რასაც სვენგალი უბრძანებს, ის უნდა გააკეთოს და ჩაიდინოს. სვენგალი ბილი ბეგოტის სიყვარულსაც-კი ავიწყებს ქალს და ცოლად ირთავს. შემდეგ ასწავლის სიმღერას, მუსიკას და ტრილბი გამოჩენილი მომღერალი ქალი ხდება. მთელი ხუთი წელიწადი სვენგალს ტრილბი ქალაქ-ქალაქ დაჰყავს და კონცერტებს ჰმართავს, ქალს ყველგან აღტაცებით ეგებებიან. ამ ხნის განმავლობაში ტრილბი ბურანშია, აკეთებს რასმეს და მღერის თეატრში მხოლოდ იმიტომ, რომ სვენგალმა ჩააგონა და შეასმინა. აღსანიშნავია აქ სვენგალის სულიერი მდგომარეობაც. იმისი ტანჯვა იოტის ოდენადაც არ შემსუბუქებულა, იგი აშკარად ჰხედავს, რომ საყვარელი ქალი ხელთ ჩაუვარდა მხოლოდ ხელოვნურად, მოხერხებით და ეს გარემოება ღრღნის, სწყლავს იმის გულს და მოსვენებას ერთს წუთსაც არ აძლევს. ასე გადის, როგორც უკვე ვსთქვით, ხუთი წელიწადი. ბილი ბეგოტს არ დავიწყებია ტრილბი, იგი ყველგან დაეძებს იმას. ბოლოს პარიჟშივე წარმოდგენის დროს შეჰხვდება, ბილი ლოჟაშია, ქალი სცენაზედ გამოდის სამღეროდ. სვენგალი გაიგებს თუ არა ბილის იქ ყოფნას, ტრილბის „ჰიპნოტიზმის“ შემწეობით აძინებს და შთააგონებს, რომ, გახვიდე თუ არა სცენაზედ, გამოფხიზლდი და ისე იმღერე, როგორც მაშინ მღეროდი, როდესაც პირველად დაგიწყე სწავლებაო. სცენაზედ გამორკვეულ ქალს უკვირს, რად უნდა ვიმღეროო, რადგან აღარ ახსოვს, რომ იგი არტისტი ქალია. ამ დროს ბილსაც დაინახავს და გულს შემოეყრება. ბილი ამხანაგებითურთ ავარდება სცენაზედ და წაიყვანს გულშემოყრილ ქალს სახლში. უკანასკნელს მოქმედებაში ტრილბი ბილთან იმყოფება და დიდად სნეულია. ავადმყოფს თავს ევლებიან ბილი ამხანაგებითურთ და ბილის დედა. აქავე მოდის იმის სანახავად იმასთან განშორებით დიდად შეწუხებული სვენგალი. ყმაწვილი ქალის ბუნება იმდენად დამონებული ჰყავს სვენგალს, რომ იგი სიამოვნებით ეგებება იმის მოსვლას და შორიდგანვე იგრძნობს იმის მოახლოვებას. დასასრულ მრავალის შთაგონებით დაუძლურებული და ძალღონე დაკარგული ტრილბი ვეღარ უძლებს ამდენს მღელვარებას და თავისს ავადმყოფობას და წუთისოფელს ესალმება. ამის მნახველი სვენგალიც იქავე დაეცემა და სულს განუტევებს. ასე თავდება ეს პიესა.

როგორც მკითხველი შენიშნავდა, მთელი პიესა აკინძულია „ჰიპნოტიურ“ შთაგონებაზედ, ამიტომ აღწერილი ამბავი რაღაც არა ჩვეულებრივს, განსაკუთრებულს, თითქმის დაუჯერებელს რასმეს წარმოადგენს. უმთავრესი მოქმედი პირი სვენგალი თვალთ-მაქცი კაცია, ისეთის ძალისა და თვისების კაცი, რომელსაც შეუძლიან დაავიწყოს ქალს წარსული ცხოვრება, შეაყვაროს თავი, გააკეთებინოს ის, რაც თითონა ჰსურს. რასაკვირველია, ასეთი შინაარსის პიესა ცხოვრების სინამდვილეს მოკლებულია, იგი ხელოვნურად გამოგონილი და შეთხზულია. მართალია, მეცნიერნი უარს არა ჰყოფენ იმას, რომ არიან ისეთი კაცები, რომელთაც შეუძლიანთ შთააგონონ სხვას თავიანთი სურვილი, დაუკარგონ მას თვით-ნება და თითქმის თავიანთ მონად გაიხადონ, მაგრამ ჯერ ერთი, რომ თვით-მეცნიერებს ამის შესახებ დაჭეშმარიტებით ვერაფერი უთქვამთ, მეორე კიდევ—ასეთი მოვლენა იმდენად იშვიათია, იმდენად არა-ჩვეულებრივია, რომ დრამას სარჩულად ვერ დაედება. თვითონ ეს „ჰიპნოტიური“ ძალაც პიესაში მეტად გაზვიადებულია. ამ დრამის ნაკლულევანება კიდევ ის არის, რომ იგი, როგორც ჩვენა გვგონია, იდეას მოკლებულია. სიყვარულით დაბრმავებული სვენგალი ყოველ ხრიკსა და ეშმაკობას ჰხმარობს საყვარელი ქალი ხელთ ჩაიგდოს და თავისს საკუთრებად გაჰხადოს,—ეს არის მთელი შინაარსი და აზრი პიესისა.

ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პიესა მოხერხებულად არის დაწერილი, ავტორს დიდი სცენის ცოდნა ეტყობა, ყოველი მოქმედება ძალიან ცხოვლად სწარმოებს, ამიტომ მაყურებელის სრულს ყურადღებას იპყრობს. ამას გარდა სრულიად უდანაშაულო ქალის ტანჯვა და წვალება მაყურებელს დიდად აწუხებს და სიბრალულს უღვიძებს.

რაც შეეხება წარმოდგენას, უნდა ვსთქვათ, რომ ამ საღამოსთვის არტისტები კარგად მომზადებულიყვნენ, მწყობრად თამაშობდნენ და ჩვეულებრივი სენი,—როლების უცოდინარობა არ ეტყობოდათ. კერძოდ კარგად ჩაატარეს თავიანთი როლები ქ-ნთ ე. მესხმა, ე. ჩერქეზიშვილმა, ბ-ნთ, კ. მესხმა, შათირიშვილმა, კანდელაკმა, სვიმონიძემ. ჩვენის აზრით, ცოტა სუსტი იყო პირველ მოქმედებაში ეფ. მესხი. ამ მოქმედებაში უფრო მხიარული, უდარდელი უნდა წარმოედგინა ტრილბი; სამაგიეროდ კარგად ჩაატარა უკანასკნელი მოქმედება.

ვოდევილმა „არც აქეთ, არც იქით“ მხიარულად ჩაიარა.

შემდეგი წარმოდგენა ხუთშაბათს 28 იანვარს, იქმნება. წარმოადგენენ, არტისტის სვიმონიძის საბენეფისოდ ა. ყაზბეგის დრამას „კონსტანტინე ბატონიშვილს“, რომლის წარმოდგენის ნება ეხლახან აულიათ.

ი.

## სასამართლოს მატიანე

—

ქალის მოტაცების სურვილი.

22 იანვარს ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის საქმეთა მეორე განყოფილებამ გაარჩია საქმე სოფ. ნინოწმინდელ გლეხთა ვანო ალუღაშვილისა და პეტრე გიოშვილისა, რომელთაც ისა ჰბრალდებოდათ, რომ 14 ღვინობისთვეს 1897 წ. ღამით შესულიყვნენ ს. საგარეჯოში მცხოვრებელის ოსანა მამთავრიშვილის სახლში მისის დისწულის ელენე მოსიაშვილის მოსატაცებლად იმ აზრით, რომ ალუღაშვილს უნდოდა იმაზედ ჯვარის დაწერა; მაგრამ ეს თავისი განზრახვა აღსრულებაში ვერ მოეყვანათ, რადგანაც ელენეს გამოჰღვიძებოდა და მეორე ოთახში შეკეტილიყო, სამაგიეროდ ბრალდებულთ წაეღოთ ელენეს და მისის დედის ტანისამოსი; მხოლოდ სიჩქარით ელენეს ტანისამოსი იქვე დავარდნოდათ. სასამართლოს გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ალუღაშვილს თურმე უნდოდა ელენეს შერთვა, მაგრამ მამა ელენესი და მისი ნათესავები წინააღმდეგნი იყვნენ ამ ქორწინებისა და როდესაც ელენე სხვაზედ დაენიშნათ, ალუღაშვილს თავისის ამხანაგით ეს ამბავი მოეხდინა. სახლში თურმე ვაჟკაცი არავინ ყოფილიყო და ამ გარემოებით ესარგებლნათ ბოროტ-გამზრახველთ. სასამართლომ ბრალდებულნი გაამართლა.

## დამაკვირდი

ჩვენი ცხოვრება ისეთი სიცალიერეა, რომ თვალ-მადიდებელითაც ვერას გავარჩევთ.

* * *

კაცობრიობა უბედური აღარ იქნებოდა, რამე საგანი რომ ჰქონდეს, რადგან ყოველი საგანი იგივ იმედია და იმედი ხომ ბედნიერების საფუძველია.

* * *

ჭეშმარიტის სიყვარულით გამთბარი გული ედემის ბაღსა ჰგავს, სადაც მუდამ გაზაფხულია თავისის მრავალ-ფეროვანის ყვავილ-ვარდებით.

ბ. დ—ლი

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი: ლა *)

ხუცურად ნაწერი წიგნი (№ 103, in quarto) შეიცავს თავის შორის შემდეგ წერილებს:

ა) თუესა აგვისტოსა :იე: მიცვალებაჲ ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობლისა, თქმული წმიდისა მამისა ჩუენისა ბასილი კესარიელისა. გუაკურთხენ მამაო (ფურც. 1—32).

ბ) ქორონიკონნი საწელიწდონი (ფურც. 33—91).

პირველ წერილში მოთხრობილია ღვთის მშობლის მიძინების ამბავი: ვითარ შეიტყო ღვთის-მშობელმა მოახლოვება თვისის გარდაცვალების ჟამისა, როგორ მივიდნენ იერუსალიმს მოციქულნი ღვთის დედის სანახავად, როგორ დაასაფლავეს იგი და სხ.

მიძინების წინად ღვთის-მშობელმა მოციქულებს ჰკითხა: „სადა და სად ჰქადაგებდითო?“ ყველამ მოახსენა პასუხი და ანდრია მოციქულმაც ასე უთხრა:

ზღვს კიდენი ბითვინიისანი და პონტოსანი, და თრაკისანი, და რაკონელთა ქვეყანაჲ, და სებასტიელთა ქალაქსა მივედ დიდსა (სებასტია=ცხუმია), სადაცა აფსირაელთა ბანაკი იყო, და ამას ყოველსა ზედა ძესა შენსა ვჰქადაგებდი.

ღვთის-მშობლის დასაფლავებას არ დასწრო მხოლოდ თომა მოციქული და შემდეგში, როდესაც მისის სურვილით აჰხადეს ღვთის-მშობლის საფლავი, თვით დედა ღვთისა, რომელიც უკვე ამაღლებული იყო ზეცად, გამოეცხადა მოციქულებს და თომას უთხრა:

რად არა გრწამს ჩემი მიცვალებაჲ მოხუცებულისა ოთხმეოცდა ოთხისა წლისა. ძემან ჩემმან დედაჲ თვსი ცათა შინა მისთანა წარმიყუანა და აწ სულით და ხორცით ცხოველ ვარ. შენ რად არა გრწამს?

შესანიშნავი აქ არის ღვთის-მშობლის ქვეყნიური ცხოვრების წლოვანება. სლავიანურს Четьи Минеи-ში შემოკლებულია სხვა-და-სხვა მწერალთა აზრი და არც ერთი მათგანი არ ამბობს, რომ მარიამ დედას ეცხოვროს 84 წელიწადი. ღვთის-მშობელს უცხოვრია:

ევსევი კესარიელის თქმით 63 წ.

იპოლიტეს თქმით 57 წ.

მელიტონის თქმით 69 წ.

ეპიფანესი და კედრინის თქმით 72 წ. (15 წლისამ შობა ქრისტე, 33 წ. ქრისტესთან სცხოვრობდა და 11 წ. იოანესთან),

აი, ეხლა ვხედავთ, რომ ჩვენის წყაროს ჩვენებით ღვთის-მშობელს მარიამს ქვეყნიურად უცხოვრია 84 წელიწადი. საკვირველი ის არის, რომ Четьи Минеи-ს ავტორებს, ეტყობა, ხელში არა ჰქონიათ ღვთის მშობლის ისტორია, შედგენილი ბასილი კესარიელის მიერ; თუ ჰქონოდათ, იმასაც ხომ მოიხსენებდნენ! სჩანს ბასილი კესარიელის თქმულება გავრცელებული ყოფილა მარტო საქართველოში. ყოველ შემთხვევაში საჭიროა შევიტყოთ, ბასილი კესარიელის თქმულება აპოკრიფული თხზულება ხომ არ არის?

ამ წერილის ბოლოს, ტექსტისავე ხელით, აწერია:

ღმერთო, შეიწყალე მონაზონ წოდებად არა ღირსი, ცოდვილი გლახა ბერი იოანე. წმიდაო ღვთისმშობელო, შეიწყალე ჩემ უღირსისაგან.

ფრიად საყურადღებოა მეორე წერილიც ქართულ ქორონიკონის ($19 \times 58 = 532$ წლიანის) შესასწავლად.

ეს ქორონიკონები გადაუწერია ვინმე ნიკოლოზს, რომელიც ტექსტის ბოლოში სწერს: „იესო, შეიწყალე მწერალი ნიკოლოზ“.

უკანასკნელს კაბადონზედ ვკითხულობთ ხუცურ ნუსხურადვე:

ღმერთო, შეიწყალე ამისი გარდმომცემი იმერელი ბაკურიძე მღდელი მახარებელი, თანა მემცხედრით და დედ-მამითურთ. ესე რომე სტამბის ჟამნებში ქორონიკონი დაილია, ახლა ჯერ ღვთით და მერმე ბატონის ბესარიონ კათალიკოზის ბრძანებით ვიგულსოდგინეთ, დავიდევით ძველი ქორონიკონი

*) იხ. „ივერიის“ 1898 წლის №№-ები, 19, 27, 28, 41, 42, 50, 58, 60, 61, 69, 70, 74, 79, 87, 101, 122, 123, 127, 128, 138, 139, 141, 143, 147, 153, 161, 162, 163, 184, 185, 190, 191, 229, 230, 231, 236, 239, 241, 242, 258, 259.

და ექვსი კვრაჲ ვიანგარიშეთ კელთით, და პირველად ძველი ქორონიკონი გავამრავლეთ, მერმე ისიც და კელთაც დედნად დავიდევით; ცოტას რაჲსმე ქისიყის მოურავის შვილი ონოფრე მოგვეხმარა. დიდის ჭირით ვზარობდი, მაგრამ კათალიკოზმა შემაგულიანა. (მრავალმცა არიან წელნი და ჟამნი ცხოვრებისა მისისანი!). ბატონმა ქიზიყის მოურავმა აბელ ხელი მოგვიმართა. მის ხელთ ვიყვენით. (მრავალმცა არიან წელნი და ჟამნი ცხოვრებისა მისისანი!). ახლაჲ ვინც გარდასწეროთ მეორეს მწერალთან ხელ-ახლადა აკანანახეთ, თუ რამ ტყუილი იქმნება და ღმერთს თქუენ მიეცით პასუხი. ვინც სულ გარდასწეროთ, თუ ეს ზანდუკი და ჩემი მოხსენებაჲ არ დასწეროთ, ღმერთთან პასუხი მომეცით. თვით უფალმან უწყის, სანამდის ამას დავსწერდი სტამბის ჟამნს უმალ დავსწერდი დიდის ალებნიდამ დამლევს მაისამდის: ფლბ წლისა დამიწერია; ოდესაც დასრულდეს, თავსავე დაიწყონ. ქრისტეს აქეთ ორჯელ მობრუნებულა, ახლა მესამეში ვდგევართ. დაიწერა მეოხებითა ღვთისაჲთა, მეფობასა თეიმურაზისასა, სოფელსა კახეთისასა, რომელ არს თელავი. დიდებაჲ ღმერთსა. ამინ.

პირველი ქორონიკონი ქრისტეს შემდეგ დასრულდა 780 წ., მეორე 1312 წ. და მესამე 1844 წელს. მღვდელ ბაკურიძის ანგარიში დაწყებია 1545 წლიდამ და დასრულებია, როგორც თვითონ ამბობს, ბოლომდე, ე. ი. 1844+532=2376 წლამდე. სამწუხაროდ, ჩვენს ხელნაწერში, ალბად გადამწერის მეოხებით, ეს საყურადღებო ანგარიში შეყენებულა ცსჲვ (2266) ქორონიკონზე (იხ. ფურც. 79). შემდეგ ამისა მოყვანილია ანგარიში 1735 წლიდგან 1844 წლამდე.

სანიმუშოდ იმისა, თუ როგორ ანგარიშობს ბაკურიძე, მოგვყავს აქ მისი ცნობები 1899 წლის შესახებ:

ქრისტეს აქეთ: ჩყჟთ:.
დასაბამითგანი: :ჴჳზ:.
ზედნადები :კვ:
შობაჲ ქრისტესი ვ:
ალებანი დღენი :ნთ:
მარხვანი იწყებიან ფებერვლის :ჱ:
ხორცით აკრებაჲ ფებერვლს :კა:
წმ. პასქაჲ აპრილის :იჱ:
ამაღლებაჲ მაისს :კზ:
სულისწმიდის მოსლვაჲ ივნისს :ვ:
ყოველთა წმიდათა კვირიაკე ივნისს :იგ:
მოციქულთ მარხვაჲ დღენი :იე:

მღვდ. ბაკურიძე, როგორც თითონვე ამბობს, ბესარიონ კათალიკოსის თანამედროვე ყოფილა, ხოლო ეს ბესარიონი მამად-მთავრობდა 1724—1735 წლებში.

მ. ჯანაშვილი

### გამოსადეგი ცნობა

ცხვრისა, ძროხისა ან ნადირის ხორცის შენახვა. შესანახი ხორცი გაახვიეთ ახალის კომბოსტოს ფურცლებში. ხორცი დიდ ხანს არ გაფუჭდება.

კარგის ფქვილის შეტყობა. ჩაყარეთ ფქვილი არაყში და თუ ცოტას ხანს შემდეგ არაყი გამწვანდა, ეს იმის ნიშანი იქმნება, რომ ფქვილში სხვა რამ მავნებელ ბალახის თესლია გარეული.

## ახალი წიგნები

ჩვენ მივიღეთ ახალი წიგნი „ბენია“ ანუ ქართველთ მეფეთა ხუმარა. გამოც. ალ. ბაქრაძის მიერ, № I. შეკრებილი 1876 წ. ზ. ჭ—სავან. სათაურზედ მოყვანილია შემდეგი სახალხო ლექსი, რომელსაც ძველადვე ბენიას აკუთნებდენ:

ბენიამ სთქვა: — „თხა არა ვარ,
გაზაფხულზედ გავკრიჭო,
ეს სოფელი მისთვის მინდა,
გავიცინო, გავიღრიჭო“.

ბენიები იყვნენ ქართველ მეფეთა ხუმარანი, თან ახლდენ ყოველთვის მეფეს და იმათგან ბევრი ბრძნული რამ წარმოთქმული. მხოლოდ ჟამთა ვითარების მეოხებით მათი ნათქვამ-ნახუმარი მთლად დაიკარგა, ზოგი დამახინჯდა. ადრე მოხუცებულთაგან ბენიას ამბები ხშირად გვესმოდა ხოლმე...

იქმნება ამ წიგნაკის შემდეგ გახსენდეთ მრავალ მოხუცებულთ მოიგონონ ბენიას თქმულებანი, დასწერონ და მითი აღადგინონ დაკარგული ამბები. წიგნი დაბეჭდილია სუფთად, შეიცავს 48 გვ. და ჰღირს ორ შაურად.

### მოკლე შენიშვნა.

არ იქნა და არ მიეცა ბოლო ჩვენის ქალების ლანძღვა-გინებას, განსაკუთრებით ქუთათურ ქალებისას. წარმოიდგინეთ ამ ახალ წელსაც არ დაგვტოვეს მოულოცველი თავისებურის ქება შესხმით. ვიღაც გ. ერთს სხვა ბევრ ლექსთა შორის, რომელსაც ქუთაისის დრამატიულ დასს უძღვნის „კვალში“, ასე ამკობს ქუთათურ ქალებს:

„ქალი არ ყავთ თურმე კარგი,
თვარა სხვები კარგიაო;
ეხ, ჩემო ძმავ! ქალის მეტი
იქ ბულვარში რა ყრიაო“.

აბა ერთი მითხარით, რა საკადრისია ასეთი ტლანქის, თავხედურის ენით მოხსენიება, ვისიც უნდა იყოს! იქნება ბ-ნ გ. ჰგონია, რომ რაც უფრო მკვახეთ აღვნიშნავ ქალების ნაკლულევანებას, მით მეტად დავაკვირებ თავიანთ მდგომარეობაზედაო. მაგრამ მერწმუნოს, რომ ვისაც მართლა შესტკივა გული ჩვენის ქალებისათვის და ვინც უფრო დაკვირვებულია ჩვენის უკანასკნელ დროის ცხოვრებაზედ, მისთვის დღესავით ნათელია, რომ ჩვენმა ქალებმა შესამჩნევად წარსდგეს ფეხი წინ, შეძლებისა და გვარად ყველა ჰმუშაობს და „ბულვარში გდებისათვის“ არავის არ მოუცლია. მხოლოდ თუ ბ-ნს გ. მაინცა და მაინც ჰსურს მკითხველები გაართოს თავისის შაირებით, (თუმცა არ ვიცი, როგორი მკითხველი უნდა იყოს, რომ ასეთის ჩვენებურ-ძველებურ ზრდილობას მოკლებული ლექსებით დასტკბეს), სხვა რასმეს მიჰმართოს, რომელიც უფრო მეტ მასალას იძლევა მისთვის, ვიდრე ქუთათური ქალებია“.

ქუთათური ქალი

## დეპეშა

21 იანვარი.

**ნიუკესტლი.** სამშვიდობო მოძრაობის სასარგებლოდ გამართულს კრებაზედ თავჯდომარემ გრაფმა გრეიმ სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ სამშვიდობო მოძრაობის ხელმძღვანელნი ანგარიშს არ გაუწევენ იმ კაცებს, რომელნიც განგებ ხუჭვენ თვალებს და იმ საჭიროებას ვერ ამცნევენ, რომ ინგლისი შემდეგშიაც ჰბატონობდეს ზღვებზედ, რათა თავისი თავი დაიცვას და ქვეყნიერობაზედ თავისი კულტურული დანიშნულება აღასრულოსო. ჩვენ იმას ველტვით, რომ მივესალმოთ რუსეთის იმპერატორის წინადადებასო. ევროპის მშვიდობიანობა უზრუნველყოფილი იქმნება, სახელმწიფოები თუ ალიარებენ status quo-ს საზღვრების შესახებ და ყველასათვის თანასწორად თუ იქნება დაცული უფლება ევროპის გარეშე ქვეყნებში, ვის გამგეობაშიაც უნდა იყვეს იგი ქვეყნები.

**ლონდონი.** „Times“-ი სწერს: „როცა საუკეთესო განზრახვა არსებობს, ჩვენ იმედი უნდა გვქონდეს და გვრწამდეს, რომ სამოას უწესოება წინანდელზედ უფრო დაუმეგობრებს ერთმანეთს ინგლისს, ამერიკას და გერმანიას. უკეთესი თავდები მსოფლიო მშვიდობიანობისათვის არ შეიძლებაო“.

**ფილადელფია.** როგორც „Times“-ი იუწყება, ელჩმა გოლებენმა ნება დართო გამოაქვეყნონ საუბარი, რომელშიაც ის სრულებით უარსა ჰყოფს იმ ხმებს, რომ ვითომც გერმანიას სდომებოდეს ამერიკელების საქმეებში ჩარევა ფილიპინებზედ და ამტკიცებს, რომ გერმანიას აზრადაც არ მოსვლია ფილიპინებზედ ადგილის შეძენაო.

**სოფია.** დედოფალ მარია ლუიზის დასაფლავება დანიშნულია სამშაბათისათვის.

22 იანვარი.

**კონსტანტინეპოლი.** სულთანმა ბოლგარიის მთავარს დეპეშა მისწერა, რომლითაც მწუხარებას უზიარებს და ამასთანავე აუწყებს, რომ ერთი მოხელეთაგანი იგზავნება სოფიაში ჩემის საკუთარის წერილით თქვენდა მომართო.

**პარიჟი.** ბურბონის სასახლის დერეფნებში ჰლაპარაკობენ, რომ საქმის გადამსინჯველმა კომისიამ, მთავრობის ნება-დართვით, მაზისაგან დამატებითი გამოძიება მოითხოვა, რადგანაც იმისს მოხსენებაში აღნიშნულ ბრალდებათ დართული არა აქვს ბრალდებულ მოსამართლეთა პასუხებიო.

**სოფია.** მთავრინას სიკვდილის გამო სასახლეში ექვსის თვის მგლოვიარებაა დაწესებული. მთავრინას გვამი დროებით გადატანილ იქმნება ფილიპპოპოლში და დასვენებულ კათოლიკეთა ეკკლესიაში, ვიდრე შესაფერს სახსოვარს აღუგებდნენ.

**სოფია.** ათასობით დეპეშაა მიღებული, რომლითაც მთავარს მწუხარებას უზიარებენ, მათ შორის ავსტრიისა და გერმანიის იმპერატორებისა, ინგლისის დედოფლისა, სერბიის მეფისა, ჩერნოგორიის მთავრისა, ყველა მეფობელ ხელმწიფეებისა, დიდის მთავრებისა და უცხო ქვეყნის კრინცებისაგან.

### წერილი რედაქციის მიმართ

გულითადს მადლობას ვუცხადებ ჩემისა და ჩემის მოსწავლეების მაგივრად პატივცემულს კაპიტანს ილია ისააკის ძეს ხოსიტაშვილს, რომელმაც თავისის ხარჯით გამოუწერა სოფელ ანაგის საეკკლესიო სკოლას საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“. ეს პირველი დახმარება არ არის ბ-ნ ხოსიტაშვილის მიერ, იგი ფულითაც შემწეობას აძლევს ხოლმე ჩვენს სკოლას, რომელიც ძალიან ჰსაჭიროებს ამ გვარს შეწირულებას.

ქ. ზარაფიშვილის ასული


გამოვიდა მეორე წიგნი

**რუსულ-ქართულის ენციკლოპედიურის ლექსიკონის**

ივანე როსტომაშვილის რედაქციით.

ფასი მთელის გამოცემისა (15 წიგნისა, დიდის ზომისა, თითო 200 გვერდამდის, წვრილის ასოებით აღბეჭდილი)—მარტო 12 მანეთი, რომელიც ხელის-მომწერს შეუძლიან ნაწილ-ნაწილადაც შემოიტანოს: პირველად ორი მანეთი (გაეგზავნება ორივე წიგნი), ხოლო დანარჩენი ათი მანეთი ისევ ორ-ორ მანეთობით ახალის წიგნების მიღების შემდეგ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ რუსულს ენაზედ ასეთი ლექსიკონები ღირს ხუთი და ათი თუმნები და ვერც ჩვენს მკითხველს დააკმაყოფილებენ სავსებით, რადგანაც მათში თითქმის არაფერი ცნობა არ მოიპოვება ჩვენის ქვეყნის შესახებ,— ყველა დაგვეთანხმება, რომ მოხსენებული ფასი ჩვენის ლექსიკონისა სულ მცირეა და ამიტომ ყველასათვის ხელ-მისაწვდენი. მესამე წიგნი ასო **ვინზე** გამოვა მარტის გასულს.

ტფილისში ხელის-მოწერა მიიღება ავტორთან და წერა კითხვის გამ. საზოგადოების და ბ ნ ხიდდეკელის წიგნის მაღაზიებში, ხოლო ქალაქ გარეშე ხელის-მომწერლებმა ფული და წერილები უნდა გამოგზავნონ: въ Тифлисъ, Давид. площ. № 6, Ивану Павловичу Ростомову. (5—5)

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 Г.**
НА ЕЖЕНЕДѢЛЬНУЮ ГАЗЕТУ

**Кавказское Сельское Хозяйство,**

органъ Императорскаго Кавказскаго общества сельскаго хозяйства. Газета выходитъ по четвергамъ, безъ предварительной цензуры, ПО СЛѢДУЮЩЕЙ ПРОГРАММѢ:

1. Руководящія статьи по техническимъ и экономическимъ вопросамъ сельскаго хозяйства Кавказа. 2. Популярныя статьи (оригинальныя и переводныя) по полеводству, молочному хозяйству, садоводству, виноградарству и винодѣлію, шелководству, лѣсоводству, техническимъ производствамъ и проч. 3. Хроника и корреспонденціи. 4. Отчеты хозяевъ о произведеныхъ ими въ своихъ хозяйствахъ опытахъ и наблюденіяхъ. 5. Обзоры литературы, русской и иностранной, по вопросамъ, относящимся къ Кавказу. 6. Сельско-хозяйственныя статистическія и рыночныя свѣдѣнія о производствѣ и потребленіи сельско-хоз. продуктовъ, о видахъ на урожай, о цѣнахъ на продукты; тарифи. 7. Правительственныя распоряженія. 8. Протоколы, доклады и отчеты общества и его органовъ. 9. Критика и библіографія. 10. Вопросы и отвѣты. 11. Сельско-хозяйственный календарь. 12. Домоводство. 13. Справочный указатель. 14. Смѣсь. 15. Метеорологическія наблюденія. 16. Объявленія.

ЗАДАЧА ГАЗЕТЫ заключается въ установленіи болѣе живой и тѣсной связи между обществомъ сельскаго хозяйства и хозяевами Кавказа, съ цѣлью, во первыхъ, совмѣстной разработки сельско-хозяйственныхъ вопросовъ Кавказа и во вторыхъ, распространенія среди населенія необходимыхъ сельско-хозяйственныхъ знаній.

Въ отдѣлѣ „Вопросы и отвѣты“ газета, при содѣйствіи спеціалистовъ, будетъ своевременно давать хозяевамъ отвѣты на тѣ вопросы, съ которыми они будутъ обращаться въ редакцію или общество сельскаго хозяйства.

**Подписная цѣна** съ доставкой и пересылкой: на годъ—4 руб., полгода—2 руб., 1/4 года—1 руб. и 1 мѣсяцъ—40 к.

**Подписка принимается** въ Тифлисѣ въ бюро Импер. Кавк. общ. сел. хоз., Барятинская ул., собственный домъ.

Отвѣтственный редакторъ А. А. Калантаръ.

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1899 годъ**
на ежемѣсячный литературный и научный журналъ

**РУССКОЕ БОГАТСТВО,**

издаваемый
**Вл. Г. Короленко и Н. К. Михайловскимъ,**

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА:**

На годъ съ доставкой и пересылкой . . . . , . . 9 р.
Безъ доставки въ Петербургѣ и Москвѣ . . . . . . 8 р.
За границу . . . . . . . . . . . . . . . . 12 р.

**подписка принимается:**

**Въ С. Петербургѣ** въ конторѣ журнала—уг. Спасской и Басковой ул., д. 1—9

**Въ Москвѣ**—въ отдѣленіи конторы—Никитскія ворота, д. Гагарина.

*При непосредственномъ обращеніи въ контору или въ отдѣленіе,* допускается разсрочка:

при подпискѣ . . . 5 р. и къ 1-му іюля . . . 4 р. — или — при подпискѣ . . . 3 р., къ 1-му апрѣля . . . 3 р., и къ 1-му іюля . . . 3 р.

Не приславшимъ доплатъ въ означенные сроки высылка журнала прекращается.

**Книжные магазины**, доставляющіе подписку, могутъ удерживать за коммиссію и пересылку денегъ только 40 коп. съ каждаго годового экземпляра.

Подписка въ разсрочку отъ книжныхъ магазиновъ не принимается. (5—5)


Дозволено цензурою, Тифлисъ 22 го Января 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე